

---

ბრიტანული უნივერსიტეტის

კვლევითი განვითარების  
ინსტიტუციური სტრატეგია

---

2026- 2033 წლები

---

დამტკიცებულია: სენატის 2026 წლის 16  
იანვრის N 03/1 გადაწყვეტილები

## სარჩევი

|   |    |
|---|----|
| 1. შესავალი.....  | 3  |
| 2. ხედვა (Vision) .....   | 3  |
| 3. მისია (Mission).....   | 3  |
| 4. სტრატეგიული პრინციპები.....  | 4  |
| 5. არსებული მდგომარეობის ანალიზი.....                                   | 4  |
| 6. სტრატეგიული კვლევითი მიმართულებები (2026–2033) .....                 | 5  |
| 6.1. ხელოვნური ინტელექტი, განათლება და ციფრული ტრანსფორმაცია.....       | 5  |
| 6.2. ლიდერობა, მმართველობა და საჯარო პოლიტიკა .....                     | 5  |
| 6.3. ბიზნესის ინოვაცია და მეწარმეობა.....                               | 5  |
| 6.4. საერთაშორისო ურთიერთობები და უსაფრთხოება .....                     | 5  |
| 6.5. განათლების პოლიტიკა და მომავლის უნარები.....                       | 6  |
| 7. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები.....                                | 6  |
| მიზანი 1. კვლევითი ეკოსისტემის გაძლიერება .....                         | 6  |
| ამოცანები:.....   | 6  |
| მიზანი 2. კვლევითი პროდუქტიულობის ზრდა.....                             | 6  |
| ამოცანები:.....   | 6  |
| მიზანი 3. საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობების გაფართოება .....       | 7  |
| ამოცანები:.....   | 7  |
| მიზანი 4. სტუდენტური კვლევის განვითარება .....                          | 7  |
| ამოცანები:.....   | 7  |
| მიზანი 5. ინოვაციისა და გამოყენებითი კვლევის განვითარება.....           | 7  |
| ამოცანები:.....   | 7  |
| 8. მიმდინარე კვლევითი პროექტები .....                                   | 8  |
| 8.1. ექსპერიმენტული კვლევა: ხელოვნური ინტელექტის გავლენა სწავლაზე ..... | 8  |
| 8.2. AI Process Transformation Readiness (AI-PTR).....                  | 8  |
| 9. კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები.....                    | 9  |
| 10. კვლევითი საქმიანობის შეფასება .....                                 | 9  |
| 11. რისკები და განვითარების საჭიროებები .....                           | 10 |
| 12. დასკვნა.....  | 10 |

---

## 1. შესავალი

---

ბრიტანული უნივერსიტეტის კვლევითი განვითარების ინსტიტუციური სტრატეგია 2026–2033 წარმოადგენს უნივერსიტეტის გრძელვადიანი განვითარების ხედვის მნიშვნელოვან ნაწილს და ეფუძნება უნივერსიტეტის განახლებულ სტრატეგიულ გეგმას, რომლის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად განსაზღვრულია „**ინოვაცია, კვლევა და ცოდნის მართვის ეკოსისტემის განვითარება**“.

სტრატეგია ასახავს უნივერსიტეტის მიმდინარე ინსტიტუციურ შესაძლებლობებს, განვითარების ეტაპს, აკადემიური პროფილის სპეციფიკას და კვლევითი საქმიანობის გაძლიერების საჭიროებას. დოკუმენტი ეფუძნება რეალისტურ და განხორციელებად მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს როგორც არსებული რესურსების ეტაპობრივ განვითარებას, ასევე საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ინტეგრაციის გაძლიერებას.

სტრატეგია მოიცავს ორივე სკოლის -

- ბიზნესისა და ინოვაციების სკოლის;
- სოციალური მეცნიერებებისა და საზოგადოებრივ საქმეთა სკოლის - აკადემიურ და კვლევით მიმართულებებს და უზრუნველყოფს კვლევითი საქმიანობის კავშირს საგანმანათლებლო პროგრამებთან, სტუდენტურ განვითარებასთან და საერთაშორისო თანამშრომლობებთან.

---

## 2. ხედვა (VISION)

---

2033 წლისთვის ბრიტანული უნივერსიტეტი იყოს განვითარებადი, საერთაშორისო თანამშრომლობებზე დაფუძნებული, გამოყენებითი და ინტერდისციპლინური კვლევის მქონე უნივერსიტეტი, რომელიც ქმნის აკადემიურ, სოციალურ და ეკონომიკურ ღირებულებას კვლევის, ინოვაციისა და ცოდნის გავრცელების გზით.

---

## 3. მისია (MISSION)

---

უნივერსიტეტის კვლევითი მისიაა:

- ხელი შეუწყოს გამოყენებითი და მტკიცებულებაზე დაფუძნებული კვლევის განვითარებას;
- გააძლიეროს კვლევისა და სწავლების ინტეგრაცია;
- შექმნას სტუდენტებისა და ახალგაზრდა მკვლევრების განვითარების კვლევითი გარემო;
- განავითაროს საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობები;
- უზრუნველყოს კვლევის საზოგადოებრივ საჭიროებებსა და თანამედროვე ტექნოლოგიურ გამოწვევებზე ორიენტირება.

## 4. სტრატეგიული პრინციპები

---

კვლევითი განვითარების სტრატეგია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- აკადემიური თავისუფლება;
- კვლევის ეთიკა და კეთილსინდისიერება;
- გამოყენებითი და პრაქტიკაზე ორიენტირებული კვლევა;
- ინტერდისციპლინურობა;
- საერთაშორისო თანამშრომლობა;
- სტუდენტური კვლევის მხარდაჭერა;
- ღია მეცნიერება და ცოდნის ხელმისაწვდომობა;
- ინოვაცია და ციფრული ტრანსფორმაცია;
- მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები.

## 5. არსებული მდგომარეობის ანალიზი

---

ბრიტანული უნივერსიტეტი წარმოადგენს ახალგაზრდა ინსტიტუციას, რომლის კვლევითი საქმიანობა განვითარების ეტაპზეა, თუმცა ბოლო წლებში იკვეთება მნიშვნელოვანი პროგრესი:

- იზრდება აკადემიური პუბლიკაციების რაოდენობა;
- გაძლიერდა საერთაშორისო ვორქშოფებსა და კონფერენციებში მონაწილეობა;
- დაიწყო საერთაშორისო პარტნიორულ კვლევებში ჩართულობა;
- განხორციელდა შიდა მიკროგრანტების პროგრამები;
- გაიზარდა კვლევითი კომპეტენციების განვითარების მხარდამჭერი აქტივობები.

2022- 2026 წლებში:

- ✓ სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა გაიზარდა 6- დან 16- მდე;

- ✓ მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა;
- ✓ განხორციელდა AI, განათლების, ლიდერობის, პოლიტიკისა და ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულების კვლევითი ინიციატივები.

## 6. სტრატეგიული კვლევითი მიმართულებები (2026–2033)

---

უნივერსიტეტი განსაზღვრავს შემდეგ პრიორიტეტულ კვლევით მიმართულებებს:

### 6.1. ხელოვნური ინტელექტი, განათლება და ციფრული ტრანსფორმაცია

---

ფოკუსი:

- AI განათლებაში;
- ციფრული სწავლება;
- AI და აკადემიური კეთილსინდისიერება;
- AI მმართველობასა და ორგანიზაციულ ტრანსფორმაციაში.

### 6.2. ლიდერობა, მმართველობა და საჯარო პოლიტიკა

---

ფოკუსი:

- თანამედროვე მმართველობა;
- დემოკრატიული ინსტიტუტები;
- საჯარო პოლიტიკის ანალიზი;
- ორგანიზაციული ლიდერობა.

### 6.3. ბიზნესის ინოვაცია და მეწარმეობა

---

ფოკუსი:

- სტარტაპ ეკოსისტემები;
- ციფრული ეკონომიკა;
- ინოვაციური ბიზნეს მოდელები;
- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება.

### 6.4. საერთაშორისო ურთიერთობები და უსაფრთხოება

---

ფოკუსი:

- რეგიონული უსაფრთხოება;

- კიბერუსაფრთხოება;
- NATO/EU კვლევები;
- გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციები.

---

## 6.5. განათლების პოლიტიკა და მომავლის უნარები

---

ფოკუსი:

- მომავლის კომპეტენციები;
- უმაღლესი განათლების ტრანსფორმაცია;
- სწავლების ინოვაციური მეთოდები;
- განათლების ხარისხის უზრუნველყოფა.

---

## 7. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

---

---

### მიზანი 1. კვლევითი ეკოსისტემის გაძლიერება

---

ამოცანები:

- კვლევითი პოლიტიკის სრულფასოვანი დანერგვა;
- კვლევითი ცენტრების ეტაპობრივი განვითარება;
- კვლევითი მონაცემების მართვის სისტემის შექმნა;
- შიდა კვლევითი გრანტების სისტემატიზაცია.

---

### მიზანი 2. კვლევითი პროდუქტიულობის ზრდა

---

ამოცანები:

- საერთაშორისო რეფერირებად ბაზებში პუბლიკაციების ზრდა;
- Scopus/Web of Science პლატფორმებში ხილვადობის გაძლიერება;
- აკადემიური პერსონალის კვლევითი აქტივობის წახალისება.

სამიზნე მაჩვენებლები:

- 2033 წლისთვის ყოველწლიურად მინიმუმ 25- 30 სამეცნიერო პუბლიკაცია;
- ყოველწლიურად მინიმუმ 10 საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა.

### მიზანი 3. საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობების გაფართოება

---

#### ამოცანები:

---

- Horizon Europe და Erasmus+ პროექტებში ჩართვა;
- ერთობლივი კვლევები პარტნიორ უნივერსიტეტებთან;
- საერთაშორისო კვლევითი ქსელების განვითარება.

#### სამიზნე:

---

- 2033 წლისთვის მინიმუმ 5 აქტიური საერთაშორისო კვლევითი პარტნიორობა.

### მიზანი 4. სტუდენტური კვლევის განვითარება

---

#### ამოცანები:

---

- სტუდენტური კვლევითი ფორუმების ორგანიზება;
- სტუდენტური მიკროგრანტების დანერგვა;
- კვლევის ინტეგრაცია სასწავლო პროცესში.

#### სამიზნე:

---

- ყოველწლიურად სტუდენტური კვლევითი კონფერენციის ჩატარება.

### მიზანი 5. ინოვაციისა და გამოყენებითი კვლევის განვითარება

---

#### ამოცანები:

---

- ინდუსტრიასთან თანამშრომლობა;
- AI-PTR პროექტის განვითარება;
- კვლევითი შედეგების პრაქტიკაში გამოყენება;
- აღმასრულებელი განათლების კვლევაზე დაფუძნებული პროგრამების განვითარება.

## 8. მიმდინარე კვლევითი პროექტები

---

### 8.1. ექსპერიმენტული კვლევა: ხელოვნური ინტელექტის გავლენა სწავლაზე

---

პროექტი ხორციელდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და საერთაშორისო პარტნიორ მკვლევრებთან თანამშრომლობით.

მიზანი:

---

AI ტექნოლოგიების გავლენის შეფასება:

- სტუდენტთა სწავლის შედეგებზე;
- მოტივაციაზე;
- ციფრულ წიგნიერებაზე;
- სწავლების პრაქტიკებზე.

მეთოდოლოგია:

---

- ექსპერიმენტული კვლევა;
- შედარებითი ანალიზი;
- საერთაშორისო მონაცემთა შედარება.

მოსალოდნელი შედეგები:

---

- Scopus-ში პუბლიკაცია;
- AI განათლების პოლიტიკის რეკომენდაციები;
- თანამედროვე სწავლების მოდელების განვითარება.

### 8.2. AI PROCESS TRANSFORMATION READINESS (AI-PTR)

---

საერთაშორისო პარტნიორული კვლევითი და გამოყენებითი პოლიტიკის პროექტი.

მიზანი:

---

ორგანიზაციების მზადყოფნის შეფასება AI-ზე დაფუძნებული ტრანსფორმაციისთვის.

კვლევის მიმართულებები:

---

- AI გადაწყვეტილების სისტემებში;

- ორგანიზაციული კულტურა;
- ლიდერული ტრანსფორმაცია;
- AI მმართველობა.

#### მოსალოდნელი შედეგები:

---

- AI მზადყოფნის ინდექსი;
- პოლიტიკის რეკომენდაციები;
- აღმასრულებელი განათლების პროგრამები;
- ინდუსტრიული პარტნიორობები.

### 9. კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები

---

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:

- ➔ შიდა მიკროგრანტებს;
- ➔ კვლევითი ტრენინგებს;
- ➔ Elsevier/Scopus/SciVal ტრენინგებს;
- ➔ საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობას;
- ➔ კვლევითი მენტორინგის პროგრამებს;
- ➔ კვლევითი ეთიკის მექანიზმებს.

### 10. კვლევითი საქმიანობის შეფასება

---

კვლევითი საქმიანობის შეფასება განხორციელდება შემდეგი ინდიკატორებით:

- პუბლიკაციების რაოდენობა;
- ციტირების მაჩვენებლები;
- საერთაშორისო პროექტები;
- საგრანტო დაფინანსება;
- სტუდენტური კვლევითი აქტივობა;
- პარტნიორული კვლევები;
- კვლევის საზოგადოებრივი გავლენა.

## 11. რისკები და განვითარების საჭიროებები

---

უნივერსიტეტი აცნობიერებს შემდეგ გამოწვევებს:

- კვლევითი გამოცდილების შეზღუდულობა;
- საერთაშორისო გრანტების მოზიდვის დაბალი გამოცდილება;
- კვლევითი კომპეტენციების მქონე აკადემიური პერსონალის ზრდის საჭიროება;
- კვლევითი ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი გაძლიერების აუცილებლობა.

აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ უნივერსიტეტი ეტაპობრივად განახორციელებს:

- ✓ კვლევითი პერსონალის მოზიდვას;
- ✓ CPD პროგრამების გაძლიერებას;
- ✓ კვლევითი ცენტრების განვითარებას;
- ✓ საერთაშორისო პარტნიორობების გაფართოებას.

## 12. დასკვნა

---

ბრიტანული უნივერსიტეტის 2026-2033 წლების კვლევითი განვითარების ინსტიტუციური სტრატეგია წარმოადგენს რეალისტურ, ეტაპობრივ და განხორციელებად განვითარების ჩარჩოს, რომელიც ეფუძნება უნივერსიტეტის მიმდინარე შესაძლებლობებსა და განვითარების ხედვას.

სტრატეგია ორიენტირებულია კვლევის, ინოვაციისა და საერთაშორისო თანამშრომლობის სისტემურ გაძლიერებაზე და ქმნის საფუძველს უნივერსიტეტის პოზიციონირებისთვის, როგორც თანამედროვე, კვლევაზე ორიენტირებული და საერთაშორისო აკადემიური სივრცის აქტიური წევრი ინსტიტუციისთვის.